დავით ახლოური
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სოფელ ჩხუნეთის ისტორიიდან

ოკუპირებული ახალგორის მუნიციპლიტეტში, ქსნის სათავე რამდენიმე ხეობისგან შედგება: ქარჩოხი, ჟამური, ცხრაზმა და ჭურთულა. ქარჩოხისა და ჟამურის ხეობები ლარგვისს ზემოთ ჩრდილოეთითაა, მდინარე ცხრაზმულა სოფელ ხარბალთან ერთვის ქსანს და მის მარცხენა მხარესაა, ხოლო ჭურთულა ქსნის მარჯვენა შენაკადია (ახლოური 2021, 285).

ძველი ქართული სოფელი, დღეს უკვე ნასოფლარი ჩხუნეთი მდებარეობს ჭურთულას ხეობაში, მდინარის მარჯვენა მხარეს, ახალგორიდან 35, ხოლო ლარგვისიდან 17-18 კილომეტრის დაშორებით, შედიოდა ჯერ დორეთკრის, შემდეგ ლარგვისის თემში.

მდინარე ჭურთა ხარულის ქედის აღმოსავლეთ კალთიდან მოედინება (ზღვის დონიდან 2373 მეტრი), მისი სიგრძე დაახლოებით 18 კმ. - ია, აუზის ფართობი 296 კვ/კმ. შევსებას იღებს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით (აფხაზავა 1987, 408).

სერგი მაკალათიას მინიშნებით, სოფელ საბარკლეთიდან მომდინარე მდინარეს გზადაგზა რამდენიმე პატარა ხევი ერთვის: ველისი (ველისა - დ.ა.), კარა, ხოხაანთწყალი და ღორის წყალი (მაკალათია 1968, 94).

ხეობის სახელწოდება უნდა უკავშირდებოდეს სიტყვა „ჭურს“, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანი ორი მნიშვნელობით განმარტავს; ჭური ნიშნავდა აბჯარს „იარაღი, საჭურველი, სპილენძ-ჭური (ქოს’თან), შეჭურვილი“... მეორე მნიშვნელობით ჭური იგივე ქვევრია. „ჭური ეწოდების ტყბილისა საცავსა, ხოლო ტყბილი და ტკბილი მახლობელ არიან, რამეთუ ერთისა ასოთი განიყოფებიან. და ტყბილი ეწოდების წვენსა ყურძნისასა, ხოლო ტკბილი - თაფლითათა და ყოველთა მისთანა(თა) გემოანთა; არამედ არცა ტყბილი და არც(ა) ტკბილი არა არს სულისა უტკბოსი. და ჭური ეწოდების საცავსა ტყბილისასა და კვალად ჭური - ჯაჭვთა და ჯავშანთა, რომელ(ი) არს საცავი სხეულისა და სულისა, რომელ არს ყოველთა უტკბოსი. ხოლო ესე ჭური, საცავი ტყბილისა, განიყოფებიან (განიყოფების Cq), რამეთუ დიდთა

ეწოდებიან (ეწოდების Cq) ქვევრი და მისსა შედეგსა - ყვიბარი და მისსა უმცროსსა - ქოცო, არამედ ყოველივე ჭური არს“ (სულხან-საბა ორბელიანი 1993, 408).
ტოპონიმი „ჭურ-თ-ა“ თანიანი მრავლობითი ფორმითაა ნაწარმოები. სახელის ფუძეში შეიძლება ნაგულისხმევი იყოს ჭური, როგორც აბჯარი, ლითონის ან სხვა მასალისაგან დამზადებული მეომრის აღჭურვილობა, რომელსაც ათასწლეულების განმავლობაში იყენებდნენ ომში თავდასაცავად (ჩოლოყაშვილი 1975, 48). თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქსნის ხეობის მთიანეთი ერთგვარ აბჯარს, თავის დაცვის საშუალებას წარმოადგენდა როგორც საქართველოს სამეფო კარისთვის, ისე, ზოგადად, ქართლის ბარის მოსახლეობისთვის, ეს სახელწოდება სრულიად მისასადაგებელი ხდება ჭურთის ვიწრო და კარგად დაცული ხეობისთვის. გავიხსენოთ ის ფაქტიც, რომ ჭურთის სიახლოვეს მდებარე ისტორიული სოფელი ლარგვისი იყო ერთ-ერთი საიმედო სახიზარი სვეტიცხოვლის განძისა, რასაც გვამცნობს ტაძრის სვინაქსარი: „1723 წელს ყოველი სვეტიცხოვლის სამკაული ლარგვისში იყო გახიზნული, - გვირგვინი გ; ხატი მურასა დ; ბისონი ვ; წიგნი მრავალი და გუჯარნი სრულიად, ყოველნი სამსახურებელნი დიდისა კათოლიკე ეკლესიისა". (კარბელაშვილი 1900, 143).
ასევე, საფიქრებელია სახელი უკავშირდებოდეს ღვინის შესანახ ჭურჭელს. დასავლეთ საქართველოში ჭურს მხოლოდ დიდი ზომის ჭურჭელს უწოდებდნენ. აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული გახლდათ იდენტური ჭურჭლის სინონიმი - ქვევრი (ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი 2011, 610). გეოგრაფიული არეალიდან გამომდინარე, ქსნის ხეობის მთის სოფლებში მევენახეობა არ იყო განვითარებული, მაგრამ, ცნობილია, რომ ერისთავებს ლარგვისის მონასტერში ჰქონდათ მარნები ჭურებითურთ, სადაც ბარიდან ატანილი ყურძნით დაწურულ ღვინოს ინახავდნენ. მარნები გვხვდება ჭურთის ხეობაშიც ყურძნის წიპწებთან ერთად (ახლოური 2022 ბ, 3).
ჭურთაში მოსახლეობის კვალი უძველესი დროიდან ჩანს, ხეობის რამდენიმე ქართული სოფელი მოხსენიებულია სამთავნელის სარგოს X საუკუნის შემოსავლის დავთარში (იხ., კაკაბაძე 1929, 5-15).
ჭურთის ხეობის ისტორიას მეტი ინტერესი და მრავალფეროვნება შესძინა თავის დროზე აქ სტუმრად მყოფმა ორმა დიდმა მოგზაურმა ვახუშტი ბატონიშვილმა და იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა, მათი ჩანაწერები მნიშვნელოვანია როგორც

ისტორიული, ისე გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, რელიგიური და ლინგვისტური თვალსაზრისით (ახლოური 2022 ბ, 4).

ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით, „სამხრით ჟამურისა არს მთა, განმყოფელი ჭურთისა და ჟამურისა, თხემთა უტყეო, კალთათა ტყიანი და ნადირიანი. ამ მთის სამხრით არს ჭურთის ხევი, რომლისა წყალი გასდის ამავ მთასა, და სად ერთვის ამ წყალს წყაროს-წყალი, მუნ, ამ ორთა წყალთ შუა, არს ციხე წინკიბე, ფრიად მაგარი, ამ ორთა ხევთა უწოდებენ ჭურთას, და მიდის აღმოსავლეთად და მიერთვის მონასტერს კსანსა. ამას შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით ქართველნი, ეგრეთვე კსნის-ხევისა და ცხრაზმისა. მოსავლით არს ჭურთა, ვითარცა სხუანი მთის ალაგნი. კაცნი და ქალნი ამ სამთა ხეობათანი არიან, ვითარცა დავსწერეთ მთიულნი, მათნი მიმზგავსებულნი" (ბატონიშვილი ვახუშტი 1973, 360).

XVIII საუკუნიდან მთის ხეობებში ჩრდილო კავკასიიდან გადმოსული ოსები დამკვიდრდნენ. თუ ქარჩოხის ხეობაში სამი ოსებით დასახლებული სოფელი იყო, ცხრაზმის ხეობაში კი მხოლოდ ერთი, ჟამურისა და ჭურთის ხეობებში ისინი შედარებით მრავალრიცხოვანნი იყვნენ. ამდენად, საინტერესოა, ამ ხეობების წარსულის კვლევა, ისტორიული რეალობის დადგენა და ეროვნული კუთვნილების კიდევ ერთხელ განსაზღვრა, რაც თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რა დახვდათ აქ ჩამოსახლებულ ოსებს, რა შეითვისეს, გაიზიარეს ან რა შეცვალეს ქართველებთან თანაცხოვრების მანძილზე.

ჩხუნეთი ჭურთის ხეობის იმ სოფლებს რიგს მიეკუთვნება, სადაც XVIII საუკუნიდან მკვიდრდებიან ოსები. ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერის“ მიხედვით, ქსანზე ოსები ცხოვრობდნენ ჟამურისა და ჭურთის ხეობებში. მათ დაიკავეს ის ადგილები, სადაც ადრე ქართველ გლეხებს უცხოვრიათ. „კსნის მამულნი, რომელნი დავსწერეთ, არიან მაგარნი მთითა, კლდითა და ტყითა. არს მთანი შემკობილნი ყუავილითა და ბალახითა... დიან წყარონი ფრიად ანკარანი, მომლაშონი, არამედ საჭმლის მომდნობნი და მომნელებელნი, და სმენ მუნებურნი; უწოდებენ ვეძას, პირუტყუთ შემრგო, გამასუქებელი. ხოლო რაოდენი ოსნი დავსწერეთ ამა ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი, შემდგომად მეპატრუნეთა მათგან გადმოსახლებულან ოსნი და ქართველნი ბარსა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბარსა შინა კაცნი შემცირებულან" (ბატონიშვილი ვახუშტი 1973, 363-364).

ალანთა მიგრაციის მიზეზად მცირემიწიანობასა და მძიმე სამეურნეო ეკოლოგიურ პირობებს მიიჩნევს ოსი მეცნიერი ლ. ჩიბიროვი (Чибиров 1987, 415). მთიან ოსეთში იმდენად ძვირად ფასობდა დამუშავებული მიწა, რომ ერთი ხარის დასაწოლი ადგილი ერთი ხარი ღირდაო, - გვამცნობს ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებულ გადმოცემას ბ. კალოევი (Калоев 1971, 71).

ცნობილი ეთნოგრაფი რ. თოფჩიშვილი თავის მხრივ მიგვანიშნებს, რომ „XVIII საუკუნის ბოლოს ჭურთის ხევიდან ბარში გადასახლებული ქართველების ნასოფლარებში ოსები დასახლდნენო" (თოფჩიშვილი 2009, 147). მისი დაკვირვებით, ოსები კომპაქტურად სახლობდნენ დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის მთიან ნაწილში, თრუსოსა და კუდაროში. ქსნის, ლეხურასა და მეჯუდას ხეობებში კი მათი განსახლების არეალი „მხოლოდ სპორადული და მეჩხერი იყო ხეობათა უკიდურეს მაღალმთიანეთში" (თოფჩიშვილი 1997, 148).

დორეთკრის თემის სოფელ ჩხუნეთის სახელწოდება ისეთივე ქართულია, როგორც ჭურთის ხეობის ოსებით დასახლებული სხვა სოფლებისა (ველისა, საბარკლეთი, ციხე-ციხია--ციხიანი, ჯორთისი, ჯანგანთკარი, ქალაქა, კარა, კუცხოეთი). როგორც ჯ. გვასალია აღნიშნავს, სახელის ფუძე „ჩხუ" მეგრულიდან უნდა მომდინარეობდეს, რაც ძროხას ნიშნავს... ნართანიანი მრავლობითის ფორმით წარმოდგენილ ტოპონიმს ერთვის სუფიქსი -ეთ და ვიღებთ ჩხუ-ნ-ეთს. ამ მოსაზრებას განამტკიცებს ის ფაქტიც, რომ ჩხუნეთის გვერდით მინდორს საძროხილს უწოდებენ (გვასალია 1983, 165).

გვასალიას სამართლიანი შენიშვნით: „შიდა ქართლის მოსახლეობა უძველესი დროიდან ქართველური იყო. ამაზე მიუთითებს ქართული წარმოშობის ტოპონიმები და ქართულ-ზანურ-სვანური ტოპონიმიკური შეხვედრები. საუკუნეთა მანძილზე მთიდან ბარში ეთნიკური გადაჯგუფების პროცესმა მოსახლეობის შემადგენლობას გარკვეული კვალი დააჩნია. შიდა ქართლის ზოგიერთ ტოპონიმს აქვს ქართულ-ზანურ-სვანური ან ქართულ-ზანური პარალელური ფორმები"... ღვაწლმოსილ მეცნიერს მოჰყავს სათანადო მაგალითები ქსნის ხეობის სოფლების სახელწოდებებიდან, მაგალითად, ტოპონიმ „კუცხოეთს" ჭანურ „კუცხს" (ღვიძება) უკავშირებს, კორას - კორს (შეკვრა), ქარჩოხის ციხის მეორე სახელწოდება ცხმორს - მეგრულ ცხიმურს (რცხილას), რომელიც უნდა მიგვეღო შემდეგი გზით: ცხიმური-ცხმური-ცხმორი... ქართულ-სვანურის მიხედვით ნაწარმოებად მიიჩნევს ტოპონიმ ლარგვისს და ა.შ. (გვასალია 1983, 164-166). გავიხსენოთ ისიც, რომ ქსნის ხეობას ჯერ

კიდევ ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნამდე ინტესიური ურთიერთობები ჰქონდა ეგრის-აფხაზეთის სამეფოსთან. მისი მმართველები აქტიურად ცდილობდნენ ქსანზე გაბატონებას და გარკვეული დროით ახერხებდნენ კიდეც. წირქოლის ღვთისმშობლის ეკლესიის ლაპირიდარულ წარწერაში მოხსენიებულია ტაძრის აღმშენებელი აფხაზთა მეფე ლეონ მეორე (ლაპიდარული წარწერები 1980, 221)...
ჩემი აზრით, ქარჩოხის ხეობის სოფელი ძაბოეთი, რომელიც მეათე საუკუნიდანაა წყაროებში ნახსენები და სადაც ასევე XVIII საუკუნიდან მკვიდრობდნენ ოსები, უნდა უკავშირდებოდეს მეგრულ „ძღაბ“ -ს, რაც გოგოსთან, ქალთან ანუ ნაყოფიერების კულტთან ასოცირდება (ახლოური 2022 დ, 65).
ჩხუნეთის გვერდით არსებობდა სოფელი ჯორთისი, დღეს უკვე ნასოფლარი. ეს ტოპონიმიც დაკავშირებული უნდა იყოს შინაური ცხოველის სახელთან, რომელიც განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ქსნის ხეობის მთიელთა ყოფაში. „ჯორ-თ-ის-ში" სახელის ფუძეს თანიანი მრავლობითის მაწარმოებელთან ერთად ერთვის სუფიქსი -ის.
სულხან-საბას მიხედვით, „ჯორსა კერძოვირი ამის გამო სახელ-ედების, რამეთუ უვიროდ არ შეიქმნების, და უცხენოდ ზრუხისაგანაც იშობების" (სულხან-საბა ორბელიანი 1993, 461). დ. კობალავას განმარტებით, ჯორი არის „შინაური ცხოველი, ფაშატი ცხენისა და ვირის ნაჯვარი. როგორც წესი, ჯორი უნაყოფოა. გარეგნულად ჰგავს მშობლებს. გამოირჩევა სიცოცხლის ხანგრძლივობით (30-40 წელი) და დაავადებებისადმი ნაკლები ამთვისებლობით. აკლიმატიზაციის უნარით, კვებისა და მოვლა-პატრონობისადმი ნაკლები მომთხოვნელობით. იყენებენ მთიანი, დასერილი რელიეფის ადგილებში სასაპალნედ და შესაბმელად" (კობალავა 1987, 572).
ჯორთისის გვერდით ჩხუნეთის არსებობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ მხარეში მესაქონლეობის განვითარების მაღალ დონესა და ცხოველის კულტის წინა პლანზე წამოწევას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჭურთის ხეობაში მდინარის სახელწოდებად გვხვდება - ღორის წყალი, რომლის მიდამოებშიც უნდა ყოფილიყო ძველ წყაროებში მოხსენიებული სოფელი საღორეთი (ჯავახიშვილი, 1974, 10). სახელის ფუძე „ღორ“ ნაწარმოებია სა-ეთ პრეფიქს-სუფიქსით.
1772 წლის ზაფხულში, ქსნის ხეობაში მოგზაურობისას ჩხუნეთს პირადად ეწვია გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი. იგი 30 ივნისს ლარგვისში შეჩერდა. მეორე დღეს კი გეზი იმერეთისკენ აიღო... ჭურთის მიმართულებით მგზავრობისას ახდენს

ცქუნეთის (როგორც თვითონ უწოდებს) ლოკალიზებას: „1 ივლისი. ლარგვისიდან ჩვენ მივდიოდით ხან სამხრეთ დასავლეთით, ხან ჩრდილო დასავლეთით, ჯერ მდინარე ჭურთის ზევით და 3 საათის შემდეგ ვიყავით ოსურ სოფელ ცქუნეთში. აქედან ლარგვისი არის აღმოსავლეთით, პირდაპირი ხაზით მხოლოდ 8 ვერსზე (ვერსი, მეტრული სისტემის შემოღებამდე სიგრძის საზომი ერთეული იყო რუსეთში და 1.06 კილომეტრს უდრიდა) მთა ლოწობანი - სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფელი ქოლოთი მთის იქით, სამხრეთით, და ლეხურის სათავე.

ცქუნეთიდან ჩვენი გზა 1 საათი მიდიოდა აღმა და აგვიყვანა კიდევ 1 1/2 საათის შემდეგ მთის წვერზე, სადაც ჯერ კიდევ აქა-იქ თოვლი იდო და საიდანაც სამხრეთით ჩანდა მეჯუდის სათავე, ჩრდილოეთით კი - პატარა ლიახვში ჩამავალი ტკუპტურა, რომელზეც ოსები ცხოვრობენ. აქედან ჩვენ ერთი საათი ვიარეთ ზევით ოსურ სოფელ სხლებამდე, სადაც გავათიეთ ღამე. ამის პირდაპირ [მდებარეობს] ბოსელთა" (გიულდენშტედტი 1962, 97; ახლოური 2006, 49-50).

გერმანელი მოგზაურის ცნობით, XVIII საუკუნის 70-იან წლებში ჩხუნეთში უკვე ჩანან ოსები. რთული სათქმელია, მოიაზრება თუ არა ეს სოფელი იოანე ბატონიშვილის ქართლ-კახეთის აღწერაში ნახსენებ ჭურთისხევის 8 „ოსის სოფელს" შორის, სადაც არიან მოსახლენი (ბაგრატიონი იოანე 1986, 37). რადგან იოანეს 1803 წლის საუფლისწულო აღწერაში ჩქუნეთის მოსახლეობის შესახებ არაფერია ნათქვამი. 1804 წლის რუსულ კამერალურ აღწერაში მოხსენიებული ოსებით დასახლებული ჭურთისხევის ყველა სოფელია საუფლისწულო აღწერაში ნახსენები, ჩქუნეთის გარდა.

პირველი რუსული კამერალური აღწერის მიხედვით კი ჩხუნეთში მცხოვრები ოსები მებატონე გლახი ფიცხელაუროვს (ფიცხელაურს) ეკუთვნიან.

ჩხუნეთი

გლახი ფიცხელაუროვის მიწაზე მცხოვრები ოსები:

1) აბელა მელაძე ფირტ, 1 კომლი, 4 მამაკაცი, 3 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 2 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 4 თივა, მემამულისთვის გადაიხადა 1 ძროხა, 2 ცხვარი და 1 ბატკანი, სულ: 7 მანეთი და 80 კაპიკი.

2) ვარდანა მელაძე ფირტ, 1 კომლი, 4 მამაკაცი, 3 ქალი, გადაიხადა ასევე 7 მანეთი და 80 კაპიკი.

3) დავით მელაძე ფირტ, 1 კომლი, 4 მამაკაცი, 2 ქალი, 4 დღის სახნავი მიწა, 3 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 7 თივა, გადაიხადა ასევე 7 მანეთი და 80 კაპიკი.
4) თადი მელაძე ფირტ, 1 კომლი, 2 მამაკაცი, 3 ქალი, გადაიხადა ასევე 7 მანეთი და 80 კაპიკი.
5) ჩეკაჯა ნაგაძე ფირტ, 1 კომლი, 8 მამაკაცი, 2 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 2 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 7 თივა, გადაიხადა ასევე 7 მანეთი და 80 კაპიკი.
6) ჯავკუჯა მელაძე ფირტ, 1 კომლი, 5 მამაკაცი, 1 ქალი, გადაიხადა ასევე 7 მანეთი და 80 კაპიკი.
7) გაგე მელაძე ფირტ, 1 კომლი, 7 მამაკაცი, 5 ქალი, 4 დღის სახნავი მიწა, 3 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 10 თივა, მემამულისთვის გადაიხადა 1 ხარი, 3 ცხვარი და 2 ბატკანი, სულ: 14 მანეთი და 60 კაპიკი.
8) გაგი მელაძე ფირტ, 1 კომლი, 3 მამაკაცი, 3 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 2 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 5 თივა, გადაიხადა ასევე 14 მანეთი და 60 კაპიკი.
9) ოსიპ მელაძე ფირტ, 1 კომლი, 7 მამაკაცი, 3 ქალი, 7 დღის სახნავი მიწა, 7 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 2 თივა, გადაიხადა ასევე 14 მანეთი და 60 კაპიკი.
გადასახადს იხდიან პურის წარმოებითა და მეცხოველეობით.
სულ სოფელ ჩხუნეთში ცხოვრობს 9 ოჯახი, 44 მამაკაცი, 25 ქალი, მათ მფლობელობაშია 34 დღის სახნავი მიწა, 26 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 71 თივა, მემამულისთვის გადახდილი აქვთ 60 მანეთი და 60 კაპიკი (გსიემ 1956, 99-100).
როგორც ჯორთისში, ჩხუნეთშიც უმრავლესობა მელაძეები ცხოვრობენ - 8 კომლი, მხოლოდ ერთი კომლია ნაგაძე. გვარები, ქართულის მსგავსად, ძე-ზე ბოლოვდება და ერთვის фирт - შვილის მნიშვნელობით, ისევე, როგორც ქართულ გვარებს - ქენქაძეს, კარელიძეს, ზარიძეს, ბერიანიძეს... ქენქაძე შვილი, კარელიძე შვილი, ზარიძე შვილი, ბერიანიძე შვილი...
სოფელი მაინცდამაინც არ გამოირჩევა სახნავი და უხნავი მიწების დიდი რაოდენობით. მცხოვრებთა ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობა და მეცხვარეობაა. მათზე დაკისრებული გადასახადი, როგორც ხიზნებისთვის იყო დამახასიათებელი, საკმაოდ მაღალია... ოსები ქართულ-მიწა წყალზე ხიზნებად იყვნენ მოსულები. „ხიზანი" იყო გლეხი, რომელიც მემამულეს ან გლეხს თავისი ნებით დროებით ან მუდმივად ეყმობოდა, შეეხიზნებოდა... მებატონისა და ხიზანის მთავარი საფუძველი იყო მიწა. ხიზანის მიერ დაკავებული მიწის ფართობი განსაზღვრავდა საგადასახადო

ნორმებს" (გამყრელიძე 1996, 194). თუ ოსი და ქართველი გლეხების გადასახადებს შევადარებთ, ვნახავთ, რომ ოსები გაცილებით მეტს იხდიან, ვიდრე რამდენიმე ქართული სოფლის მოსახლეობა ერთად აღებული (ახლოური 2022 დ, 67) ჩხუნეთის ოსი მოსახლეობა გადასახადს მემამულე გლახი ფიცხელაურს უხდიან... ფიცხელაურები ხევსურეთის სოფელ ბაცალიგოდან არიან გადასახლებული ჯერ გუდამაყრის სოფელ ბაკურხევში, მოგვიანებით კი კახეთის სოფლებში, თიანეთში, ხევში, საიდანაც ქსნის ხეობაში დამკვიდრდნენ და ახალგორის მოურავობამდეც მიაღწიეს.

სოფელ იკოთში მცხოვრები ქსნელი აზნაურები საერისთავოს სხვადასხვა სოფლებში ფლობდნენ მამულებსა და მასზე დამკვიდრებულ ყმებს, მათ შორის, ჭურთის ხეობაშიც...

სოფლის ღირშესანიშნაობებიდან აღსანიშნავია მეცხრამეტე საუკუნის წმინდა გიორგის ნიში, რომელიც ძველი ეკლესიის ადგილზე აუშენებიათ. „ეკლესიის გეგმა არ იკითხება. ჩანს საძირკვლის ფრაგმენტები. ადგილობრივი წარმოშობის სამშენებლო ქვა ფლეთილია. იქვე ხეზე კიდია ეკლესიის ზარი მხედრული წარწერით: „ზარი შევწირეთ ცქვნეთის (ცქუნეთის) წმინდა გიორგის დიმო და ბიძი მელაძეებმა ჩ.შ." ეს ზარი თანაფარდობაში მოდის იქვე მდებარე ბოლნური ჯვრის წარწერასთან: „ჯვარი შევწირე წმინდა გიორგის დიმო მელაძე ჩ.ყ.მ.გ." ჯვრის ცენტრში გამოსახულია წმინდა გიორგი." (შიდა ქართლი 2008, 220).

ჩხუნეთის წარწერები ბევრი რამითაა საყურადღებო; მოცემულია სოფლის სახელწოდების ერთი განსხვავებული ფორმა - ცქვნეთი (ცქუნეთი), რომელიც XVIII საუკუნის 70-იან წლებში გიულდენშტედტთანაც გვხვდება. ჩვენთვის ცნობილია სახელის სხვა ფორმებიც, მაგალითად, დორეთკრის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებზე საუბრისას, ჩხუნეთს ჩქუნიეთის სახელწოდებით მოიხსენიებს ს. მაკალათია (მაკალათია 1968, 95), ჩკუნეთს უწოდებს ნ. კეცხოველი (კეცხოველი 1971, 42), ჩქუნეთს - ვ. სომხიშვილი (სომხიშვილი 1981, 82) და ც. დადიანიძე (შიდა ქართლი 2008, 220)... 1890 წლის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მიწათმფლობელობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით სოფლის სახელწოდებაა ჩქუნეთი და მიეკუთვნება მეწყერის სასოფლო თემს (მეწყერი ქართველებით დასახლებული სოფელი იყო ჭურთის ხეობაში). ჩანს, ჩქუნეთი

სოფლის ყველაზე გავრცელებული სახელი იყო, რომელმაც ძველი ტოპონიმი ჩაანაცვლა: - ხ-ს ნაცვლად გაჩნდა ქ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეროვნებით ოსები, მაგრამ მენტალიტეტით უკვე ქართველი მელაძეები ძველი ეკლესიის ადგილზე აგებულ ახალ მართლმადიდებლურ წმინდა გიორგის ტაძარს მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში სწირავენ ზარსა და ბოლნურ ჯვარს ქართული მხედრული წარწერებით (ბოლნური ჯვრის წარწერა თარიღდება 1843 წლით).

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისისა და დასასრულის რუსულ კამერალურ აღწერებს თუ შევადარებით, ვნახავთ, რომ ჩხუნეთის მოსახლეობა დიდად არ შეცვლილა, 1886 წლის მონაცემებით სოფელში უცხოვრია 9 კომლს, 81 მოსახლით. არადა, ცნობილია, რომ 1804 წლიდან მოყოლებული ქსნის ხეობაში ოსური მოსახლეობის რიცხვი იზრდებოდა, მაგალითად, 1873 წლამდე 650 ადამიანით მოუმატია. ბ. კალოევის მინიშნებით, ოსები ყოველწლიურად გადმოდიოდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან. მათ ვერც უგზოობა უშლიდა ხელს და ვერც შვიდთვიანი ზამთარი (Калоев 1967, 61).

„1873 წლისთვის ოსებს უცხოვრიათ ქსნის ხეობის 39 სოფელში, აქედან ყველაზე მეტი ჭურთისხევში იყო დამკვიდრებული, 105 კომლი 873 სულით.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ოსების შიდამიგრაციას მასიური ხასიათი ჰქონდა. სახლდებოდნენ ჭურთაშიც და გაედინებოდნენ ჭურთიდანაც. განსაკუთრებით შესამჩნევია ოსების დაბლობ რეგიონებში მიგრირება.“ (ახლოური 2022 ა, 236)

ჭურთის ხეობიდან ოსების გარკვეული ნაწილი დამკვიდრებულა ლეხურას ხეობაში. ჭურთისხეველ ოსთა სოფელ ზახორში (ზაყორი, ახალგორის მუნიციპალიტეტი) დამკვიდრებას განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი ჰქონია XIX საუკუნის 50-იან წლებში (ახლოური 2022 გ, 11-12)...

რაც შეეხება ოსებისა და ქართველების თანაცხოვრებას; როგორც ვალერიან ითონიშვილი ქსნის ხეობის მთის მოსახლეობაზე საუბრისას შენიშნავს: „ჩრდილო კავკასიის მთიანეთიდან ემიგრირებულმა ოსებმა კარგად შემოინახეს რა სამშობლოდან მოყოლილი მამაპაპური ტრადიციები, ახალ საცხოვრებელ გარემოში ასევე შეითვისეს და შეისისხლხორცეს დამხვდური ქართული მოსახლეობის ყოფისა და კულტურის ნორმები. მეზობლური სიახლოვე აპირობებდა აგრეთვე ქართველ მთიელთა მიერ ოსური წეს-ჩვეულებების გაცნობას და რიგ შემთხვევაში მათ გამოყენებასაც" (ითონიშვილი 1974, 70). ასე, რომ საერთო ადათ-წესების და

ტრადიციების მატარებელი ეს ორი ხალხი, ერთმანეთის თანადგომით საუკეთესოდ იცავდა და წარმოაჩენდა თავის ეროვნულ თვითმყოფადობას (ახლოური 2022 ა, 238). ჭურთის ხეობის მკვიდრი ოსი ქალბატონის ამინეთ მუზაევას მონათხრობით (გარდ. 2022 წელს, 87 წლის ასაკში), რელიგიურ თუ სხვა დღესასწაულებს ჭურთის ხეობელები უქართველებოდ არასდროს აღნიშნავდნენ. ლხინშიც და ჭირშიც მათი პირველი სტუმრები ქართველები და ოსები იყვნენ: ლევანაანი, მეწყერლები, ჯორთისელები, ველისელები, საბარკლეთელები...“ (ახლოური 2022 ა, 241)
XX საუკუნის მეორე ნახევარში მელაძეების შთამომავალი დრიაევები ჯერ კიდევ მკვიდრობდნენ ჩხუნეთში, მათთან ერთად უცხოვრიათ ჯანიგაევებსა და მუზაევებს, რომლებიც მეზობელი სოფლებიდან უნდა ყოფილიყვნენ მისულები.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

აფხაზავა, ილია. 1987. *ჭურთა.* ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე). ტ. 11. თბილისი.

ახლოური, დავით. 2006. *უცხოელ ავტორთა ცნობები სოფელ ლარგვისის შესახებ (გიულდენშტედტი, XVIII საუკუნის 70-იანი წლები),* გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, №3, გორი.

ახლოური, დავით. 2021. *ქარჩოხის ხეობის მოსახლეობა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში.* გსსუს შრომათა კრებული, №20. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ახლოური, დავით. 2022 ა. *ქსნის ხეობის ისტორია, ტ. III.* თბილისი. გამომცემლობა „საარი".

ახლოური, დავით. 2022 ბ. *ჭურთის ხეობის ტოპონიმები.* სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარებული იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეთერთმეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.

ახლოური, დავით. 2022 გ. *სოფელ კუცხოეთის ისტორიიდან,* სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული მეთხუთმეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.

ახლოური, დავით. 2022 დ. *ქსნის ხეობის სოფელ ძაბოეთის ისტორიიდან,* საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №2.

ბაგრატიონი, იოანე. 1986. *ქართლ-კახეთის აღწერა,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება".

ბატონიშვილი, ვახუშტი. 1973. *აღწერა სამეფოსა საქართველოსა,* ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

გამყრელიძე, ბახვა. 1996. *ოსთა განსახლების საკითხისათვის საქართველოში,* წიგნში „ოსთა საკითხი", გორი - თბილისი, გამომცემლობა „პითაგორა".

გვასალია, ჯონდო. 1983. *აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი),* თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება".

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. 1962. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, ტ., I. თბილისი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

გსიემ. 1956. გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), *ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წელს, შემოსული 1956 წელს,* №7486.

თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მიწათმფლობელობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების კრებული. 1890. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მიწათმფლობელობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების კრებული, ცხინვალისა და ქსნის უბნების დროებით ვალდებული გლეხების შესახებ, თბილისის გუბერნიის გლეხთა საქმეთა ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით. თბილისი.

თოფჩიშვილი, როლანდ. 1997. *საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები.* თბილისი. გამომცემლობა „ლომისი".

თოფჩიშვილი, როლანდ. 2009. *„ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში".* საქართველოს საპატრიარქოსა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ 2008 წლის 2-3 დეკემბერს ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები", მიძღვნილი შრომების კრებული. თბილისი. გამომცემლობა „კალამუსი".

ითონიშვილი, ვალერიან. 1974. *ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან.* თბილისი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".

კაკაბაძე, სარგის. 1929. *საისტორიო კრებული. წიგნი IV.* ტფილისი.

კარბელაშვილი, პოლიევქტოს. 1900. *იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელ-მთავარნი.* თბილისი, ალექსანდრე ეპისკოპოსის გამოცემა.

კეცხოველი, ნიკოლოზ. 1971. *მორბის არაგვი, არაგვიანი,* თბილისი.

კობალავა, დავით. 1987. *ჯორი.* ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე), ტ. 11. თბილისი.

ლაპიდარული წარწერები, 1980. *ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.),* შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი

მაკალათია, სერგი. 1968. *ქსნის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი.* თბილისი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".

სომხიშვილი, ვენერა. 1981. *ქსნის ხეობის ქართლური, ლექსიკა, ტოპონიმიკა (მასალები), ტექსტები.* ცხინვალი.

სულხან-საბა ორბელიანი. 1993. *ლექსიკონი ქართული, II.* თბილისი. გამომცემლობა „მერანი".

ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. 2011. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ელდარ ნადირაძე. რედაქტორი როინ მეტრეველი. ავტორ შემდგენელები: გვანცა არჩვაძე, მარინა ბოკუჩავა, თამარ გელაძე და სხვები. თბილისი. მერიდიანი.

შიდა ქართლი. 2008. *ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული მემკვიდრეობა,* ტ. IV, თბილისი.

ჩოლოყაშვილი, კონსტანტინე. 1975. *აბჯარი.* ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 1. თბილისი.

ჯავახიშვილი, ივანე. 1974. *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.),* წიგნი II. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება".

Акты. 1868. *Акты, собранные Кавказской археографической комиссией*: Том II. Тифлис.

Калоев, Борис. 1967. *Осетины, (историко-этнографическое исследование).* Москва. Издательство «Наука».

Калоев, Борис. 1971. *Осетины (историко-этнографическое исследование),* Изд. 2-е, испр. и доп. Москва: ГРВЛ.

Чибиров, Людвиг. 1987. Чибиров (составитель), Периодическая печать Кавказа об Осетии и осетинах, Цхинвал.

David Akhlouri
Associate Professor of Gori State Teaching University

From the history of the village Chkhuneti

The old Georgian village, today the village of Chkhuneti is located in the right tributary of the Ksani in the Churtula gorge, on the right side, 35 km from Akhalgori and 17-18 km from Largvisi.

Chkhuneti is one of the villages in the Churta Valley where Ossetians from the North Caucasus have been living since the 18th century. As Vakhushti Batonishvili points out, in Ksan they occupied the places where Georgian peasants used to live.

The name of Chkhuneti is the same as that of other Ossetian villages in the Churta Valley. J. According to Gvasalia, the root of the name "Chkhu" must be derived from Megrelian, which means cow ... This opinion is reinforced by the fact that the field next to Chkhuneti is called Sadrkhil.

The presence of the neighboring villages of Jortisi and Chkhuneti once again underscores the high level of cattle development in this region and the rise to the forefront of animal worship.

In the summer of 1772, while traveling in the Ksani Valley, Chkhuneti was personally visited by the German traveler Guldenstedt. He stopped in Largvis on June 30th. The next day he took the road to Imereti ... while traveling in the direction of Churti, he localized Tskuneti (as he calls himself).

According to the German traveler, Ossetians can already be seen in Chkhuneti. It is difficult to say whether this village is considered among the 8 "Ossetian villages" mentioned in Ioane Batonishvili's Kartli-Kakheti census, where they live, because the Ioane 1803 royal census does not say anything about the population of Chkuneti. All the villages of Churtiskhevi mentioned by the Ossetians mentioned in the Russian chamber description of 1804 are mentioned in the royal description except Chkuneti.

According to the first Russian camera description, the Ossetians living in Chkhuneti belonged to Mr. Glakhi Pitskhelaurov (Pitskhelauri). In total, 9 families lived in the village of Chkhuneti, 44 men, 25 women, had 34 days of arable land, 26 days - not used for arable land, 71 hay. They paid 60 rubles and 60 kopecks.

Most of the Meladzes lived in Chkhuneti - 8 households, only one household was Nagadze. Surnames, like in Georgian, ended in dze and were attached to the meaning of firt - son. The main activities of the inhabitants were cattle breeding and sheep breeding. A tax that was typically high for tenantsThey paid the landlord Pitskhelauri ...Among the sights of the village is the niche of the nineteenth century St. George. The inscription on the church bell informs us that Ossetians of Ossetian nationality established there, but already with Georgian mentality, will donate bells and Bolnuri to the new orthodox church of St. George built on the site of the old churchCross with Georgian military inscriptions (Bolnuri cross inscription dates back to 1843). St. George is depicted in the center of the cross.

In the second half of the twentieth century, the Driaevs, descendants of the Meladzes, were still living in Chkhuneti, living with the Janigaevs and Muzaevs, who must have come from neighboring villages.